ადრესატი:

ემზარ თევდორაძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

წერილის ნომერი:**31-31220748**
თარიღი: **15/03/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“
სხდომის ოქმი №3
ლანჩხუთი 10.03.2022 წელი

12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**
სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.
მოწვეული პირები: ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ ხელმძღვანელი- დავით წულაძე და ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ ხელმძღვანელი- დიმიტრი მარშანიშვილი.
სხდომის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და ფრაქციის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1.ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

2. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: მაკა მშვიდობაძე/

3. სხვადასხვა:

1. დღის წესრიგის პირველ საკითხზე - ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა ცენტრის ხელმძღვანელმა - დავით წულაძემ.
ფრაქციის წევრი გოჩა ჯანაშია დაინტერესდა აღნიშნულ ა(ა)იპ-ში მიმდინარე არსებული მდგომარეობით, ასევე ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ ხლფასების მატების და რეორგანიზაციის საკითხებით. დავით წულაძემ განმარტა, რომ ყველა ელოდება ხელფასების მატებას, იგეგმება 10%-იანი მატება, მაგრამ განიხილავენ კიდევ 50 ლარით მატებასაც. ასევე მიმდინარეობს რეორგანიზაცია, მოხდა 5 ადამიანის შემცირება. მისი თქმით ამორტიზირებულია ნაგვის მანქანები, ასევე აუცილებლად საჭიროებენ კომპრესორს. ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა სასაფლაოების თემით, ქალაქის გარდა რომ არ დგას ურნები, დავით წულაძის თქმით შინაგანაწესის მიხედვით არ ევალებათ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების გარდა სხვებთან ურნების დადგმა.
ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ დანამატების საკითხითაც, რაზეც უპასუხეს, რომ დანამატს ღებულობს მხოლოდ ის თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ წინასაახალწლო განათებების გაკეთებაზე.
ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა ზღვის სანაპირო ზოლის დასუფთავების საკითხით, დავით წულაძემ განმარტა, რომ მათ ევალებათ მყარი ნარჩენების გატანა და დასუფთავება, მაგრამ ჯერ-ჯერობით თანხა არ აქვთ გამოყოფილი.
ფრაქციის წევრები აღნიშნავენ, რომ აღნიშნული ა(ა)იპ არასდროს გაჩერებულა და ყოველთვის გამოირჩევიან მუშაობით, მათ მადლობაც გადაუხადეს დავით წულაძეს გაწეული მუშაობისთვის.

ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ მუშაობა და შეძლებისდაგვარად დახმარებას დაჰპირდნენ.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე - ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ მიერ 2017-2021 წ.წ. გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა ცენტრის ხელმძღვანელმა - დიმიტრი მარშანიშვილმა, მან ისაუბრა წარმატებულ სპორტის სახეობებზე, გიორგი შოთაძის მიღწევებზე და აღნიშნა, რომ იგი ასპარეზობს ლანჩხუთის სახელით. სპორტული ცენტრის ბიუჯეტი შეადენს 500000 ლარს, თანამშრომლების რაოდენობა არის 71, აქედან 12 შტატში და 59 შტატგარეშე. მარშანიშვილმა აღნიშნა, რომ ხელფასების მატებას 30% გეგმავენ მხოლოდ მწვრთნელებისთვის. ასევე უმოკლეს დროში იგეგმება აუზის ჩართვა. სამომავლოდ ფიქრობენ რომ ადმინისტრაცია გადავა აკადემიის ეზოში, სადაც არის დარბაზი და ფიქრობენ მის გარემონტებას.

ფრაქციის თავმჯდომარე დაინტერესდა რატომ მოხდა შესყიდვების თანამშრომლის შემცირება, დიმიტრი მარშანიშვილმა განმარტა, რომ ბუღალტერს შეუთავსეს შესყიდვების თანამშრომლის საქმიანობა, ჯერ ისევ მიმდინარეობს რეორგანიზაცია.

ფრაქცია მხარდაჭერას უცხადებს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრს“.

სხვადასხვაში: ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ დააყენა წინადადება, რომ საკრებულოს რიგით წევრებსაც მიეცეს საწვავი 50 ლიტრის ოდენობით და ასევე ხელფასი 680 ლარის ნაცვლად, გაიზარდოს 800 ლარამდე. ჯუმბერ ბლაგიძე ითხოვს, რომ ფრაქციის მიერ დაყენებულ საკითხებზე გაეცეს წერილობით პასუხი.

ვინაიდან სხვა საკითხები ფრაქციის წევრების მიერ არ დასმულა, ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის

,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

10.03. 2022 წელი

12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	11:55	
2	გოჩა ჯანაშია	11 50	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	11:40	